საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ზემო ზახორის (ზაყორის) სამაროვანი

ზემო ზახორის (ზაყორის) სამაროვანი, III ს. არქეოლოგიური ძეგლი, აღმოჩენილია (1974) სოფ. ზემო ზახორში (ახალგორის მუნიციპალიტეტი). გამოვლენილ სამარხებში აღმოჩნდა: ცხოველთა გამოსახულებიანი ბრინჯაოს ჭვირული ბალთა, მშვილდსაკინძის რკალისებური მშვილდი ბულით, კონუსის მოყვანილობის, დაფანჯრულკორპუსიანი ზარაკი, რ-საც აქვს ყუნწი და ძეწკვი; ვერცხლის ბეჭედი, რ-ის მინის ინტალიოზე გამოსახულია ლომი; მინის, სარდიონის, ქალკედონის და გიშრის მძივები; გოტარზეს პართული ვერცხლის დრაქმა და სხვ. მასალა ინახება საქართვ. ეროვნ. მუზეუმის ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. მუზეუმში.

ლიტ.: ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ქ., გვიანანტიკური ხანის სამარხი ს. ზახორიდან, «ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე», 1987, ტ. 39 B.

ქ. ჯავახიშვილი

ბ. ჯორბენაძე